

**სსიპ-ების და სხვა დამოუკიდებელი
საჯარო დაწესებულებების ავტოპარკი
და სანვავის ხარჯები**

2018-2019 წლები

კვლევის ფარგლებში IDFI-მ კვლევის ობიექტ 80-მდე საჯარო დაწესებულებას (სამინისტროებს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სხვა დამოუკიდებელ უწყებებს) მიმართა მათ ბალანსზე რიცხული ავტომობილების, სანვავის ლიმიტების დამდგენი ნორმატიული აქტების და 2018-2019 წლებში სანვავის მოხმარებაზე განეული ხარჯების შესახებ, ასევე თანამდებობის პირებზე განპიროვნებული ავტომობილების მიერ დაფარული კილომეტრაჟისა და მოხმარებული სანვავის ზუსტი ოდენობის შესახებ დეტალური საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. კვლევის ფარგლებში, IDFI-მ ინფორმაცია მიიღო სულ 65 უწყებიდან.

ძირითადი მიზნობები



ბოლო ორი წლის განმავლობაში 31-მა უწყებამ ჯამში **382 ავტომობილი შეისყიდა**, საიდანაც 253 ერთეული არის 2018-2019 წლებში გამოშვებული უახლესი მოდელი.



2018-2019 წლებში, 31 სსიპ-ს მიერ შესყიდული ავტომობილების ჯამურმა ღირებულებამ **18 მილიონ ლარს გადააჭარბა**.



კვლევის სამიზნე უწყებების თანამდებობის პირებზე განპიროვნებული ავტომობილების უმრავლესობა **მაღალი გამავლობის ავტომობილებია**, კერძოდ 133-იდან 75 (56.4%).



2019 წლის 27 ივნისს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა **151,574.4 ლარად შეისყიდა Toyota Land Cruiser-ის** მოდელის ავტომობილი, რაც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებას 10,000 ლარით აღემატება.



თანამდებობის პირებისთვის დაწესებული ყოველთვიური სანვავის ლიმიტები 140 ლიტრიდან 850 ლიტრამდე მერყეობს. **ყველაზე მაღალი ლიმიტით გამოირჩევა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი**.



122 თანამდებობის პირმა 2019 წელს 425,000-მდე ლიტრი სანვავი მოიხმარა, რაც **სახელმწიფოს დაახლოებით მილიონი ლარი დაუჯდა**.



ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა 2019 წელს ყველაზე მეტი, 10,371 ლიტრი სანვავი მოიხმარა და 50 200 კმ დაფარა.




2019 წელს, **10-მა თანამდებობის პირმა** ჯამში დაახლოებით 490,000 კილომეტრი გაიარეს, თითოეულმა საშუალოდ 49,000 კილომეტრი.





2019 წელს **20-მა თანამდებობის პირმა** გადააჭარბა დადგენილ სანვავის ლიმიტს.



იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, ერთი წლის განმავლობაში საკუთარი თავისთვის დადგენილი ლიმიტი **ოთხჯერ გაზარდა** 275 ლიტრიდან 600 ლიტრამდე.



2018-2019 წლებში თანამდებობის პირების მიერ განვლილი მანძილები (კმ)



*კილომეტრაჟი უწყებამ არ მოგვანოდა, მოცემული ციფრი გამოთვლილია მოხმარებული საწვავის ოდენობისა და ავტომობილის საშუალო წვის მაჩვენებელზე დაყრდნობით.

მთავარი გამოწვევები

2018-2019 წლებში სსიპ-ების და სხვა დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულებების ავტოპარკისა და საწვავის ხარჯების ანალიზმა ნათლად აჩვენა მის რაციონალურ განკარგვასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები. კერძოდ:



ავტოპარკის მასშტაბი, მაღალი გამავლობის და ძვირადღირებული მოდელების რაოდენობა და საწვავის მოხმარების არსებული მაჩვენებლები ცალსახად ოპტიმიზაციის და კონტროლის მექანიზმების გამკაცრების აუცილებლობაზე მიუთითებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებს ავტოპარკის განკარგვასთან და საწვავის ათვისებასთან დაკავშირებული მონაცემების გასაჯაროებას. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავს უწყებებში ავტოპარკის რაციონალურ განკარგვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები უფრო მასშტაბურია, ვიდრე წინამდებარე კვლევაში არის ნაჩვენები.

განხილული უწყებებიდან არცერთი არ სარგებლობს ელექტრო ავტომობილებით. გამოწვევისა მხოლოდ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, რომლის ბალანსზეც ირიცხება ხუთი ერთეული Mitsubishi I-Miev-ის მოდელის ელექტრო ავტომობილი, რომლებიც მათ გადაეცათ საჩუქრად. აღნიშნული ტენდენცია გამომწვეულია საქართველოს მთავრობის „N121 დადგენილებით“, რომელიც არ იძლევა ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე ავტომობილის შესყიდვის შესაძლებლობას (მაგალითად: ჰიბრიდული და ელექტროავტომობილები).

რეკომენდაციები

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ავტოპარკის განკარგვის და საწვავის ათვისების არსებული პრაქტიკა, კიდევ ერთხელ მიუთითებს **სახელმწიფო ავტოპარკის ცენტრალიზებული სერვისის** ჩამოყალიბების საკითხის აუცილებლობაზე, რომლის მართვაში მოექცევა ყველა სახელმწიფო უწყების ბალანსზე არსებული ავტომობილი.

საქართველოს მთავრობის **N121 დადგენილებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები**, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებების ინტეგრაციას.